თბილისში, მახათას მთაზე, შენდება
ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე.
ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში;
ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში,
შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში...

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით,ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისათვის სიამაყით თქმა – ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელს საქართველოსთან ერთად!

პაატა ბურჭულაძე

ძვირფასო მეგობრებო,

მოგეხსენებათ, რომ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მთავარეპისკოპოსის მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტის ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია II ლოცვა-კურთხევით ქ. თბილისში, მახათას მთაზე, იწყება ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სავანის მშენებლობა. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსდა ფონდი „ივერიისა", რომელიც სათავეში ჩაუდგება მახათას მთაზე ამ სავანის მშენებლობას. სამონასტრო კომპლექსში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი და თავშესაფარი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის. კომპლექსთან ასევე დაარსდება ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრი.
ფონდ „ივერიისას" საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე, ფონდის ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.iveriisa.ge გამოქვეყნებული იქნება სრული ანგარიში თქვენს მიერ შემოწირული თითოეული ლარის შესახებ. ვებგვერდზე ასევე გამოქვეყნდება იმ ადამიანთა სახელები, ვინც გაერთიანდება ჩვენს აქციაში და ვის სახელზეც გააკეთებენ შემოწირულობას მათი ახლობლები. შემომწირველთა სახელები ასევე ჩაიწერება წიგნში, რომელიც დაცული იქნება ტაძრის არქივში.

- აქციაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც ამის სურვილი აქვს, ანუ აქცია ნებაყოფლობითია.
- აქციის მონაწილე თანხას სწირავს ყოველთვიურად იმ ოდენობით, რისი სურვილი და საშუალებაც აქვს.
- აქციის მონაწილეს ახლობლებისა და გარდაცვლილი წინაპრების სახელის ჩაწერა შეუძლია შეუზღუდავი რაოდენობით.
- აქციაში მონაწილეობა შეგიძლიათ იმ შემთხვევაშიც, თუ ამის სურვილი გაქვთ, მაგრამ არ გაგაჩნიათ შესაძლებლობა. ამისათვის დარეკეთ ნომერზე – 14 04 84 და გვიკარნახეთ თქვენი სახელი და გვარი. თქვენს მაგივრად ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე შემოწირულობას შეიტანს თქვენი თანამემამულე, ვისაც ამის სურვილი და საშუალება ექნება.

ივერიისა
IVERIISA

აქციაში მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით ნომერზე – 14 04 84.

ტელ: (+995 32) 14 04 84, ფაქსი: (+995 32) 37 46 83
www. Iveriisa.ge E-mail: info@iveriisa.ge

მე _______________________ თანახმა ვარ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობისათვის ჩემი და ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელით ყოველთვიურად ჩავრიცხო _____________ ლარი.

ცოცხალთათვის	მიცვალებულთათვის
გვარი, სახელი	გვარი, სახელი
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	
10	
11	
12	
13	
14	
15	
16	
17	

ხელის მოწერა:

თარიღი: